ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი პისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნ. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.05.2016

საჩივრის რეგისტრაციის № 038/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ჯ. -ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჯ. -სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 10 მაისს ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. შ. -მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ჯ. -სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, მისთვის გადახდილი თანხისა და გადაცემული დოკუმენტების უკან დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი ურთიერთობა ადვოკატ ლ. ჯ. -სთან დაიწყო 2014 წლის 03 იანვარს. ადვოკატს უნდა ეწარმოებინა სამოქალაქო საქმე მისთვის შვილების დაბრუნების თაობაზე, რადგან მას ჩამორთმეული ჰქონდა დედობის უფლება სოციალური სამსახურის მიერ.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი შვილები სოციალურმა სამსახურმა წაიყვანა, როგორც მას უთხრეს 06 თვით, მაგრამ 07 თვის გასვლის შემდეგაც არ უბრუნებენ უკან და მის მეუღლეს ბრალი დასდეს, ვითომდა ბავშვების გაუპატიურების მცდელობაში. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მისი და მისი მეუღლის მხრიდან ბავშვების მიმართ არანაირ ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას ადგილი არ აქვს. მათ შვილებთან აქვთ კარგი ურთიერთობა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დაჰპირდა, რომ 03 თვეში იგი ბავშვებს დააბრუნებდა სახლში, რისთვისაც მან ადვოკატს გადაუხადა მომსახურების საფასური 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მის საქმეზე საადვოკატო საქმიანობა არ განახორციელა. საქმის მსვლელობიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ ადვოკატმა კლიენტს განუცხადა, რომ ამ საქმეზე არაფერი გამოუვიდოდა, რადგან მას დედობის უფლება საქართველოს მასშტაბით ჰქონდა ჩამორთმეული და დაჰპირდა თანხის უკან დაბრუნებას, რაც დღემდე არ გაუკეთებია. ადვოკატმა მომჩივანის ნათესავს უთხრა, რომ თუ იგი მას გადაუხდიდა დამატებით 3000-4000 (სამი ათას - ოთხი ათას) ლარს, მაშინ საქმეს აწარმოებდა.

1.6 2016 წლის 25 მაისის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ ადვოკატმა მას უნდა დაუბრუნოს საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ნაწილი, ვინაიდან ადვოკატმა წერილობითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობა სრულად არ შეასრულა.

1.7 საჩივრის ავტორი არ გამოცხადდა ეთიკის კომისიის 2016 წლის 09 სექტემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, რის გამოც კოლეგიამ სხდომა გადადო 2016 წლის 16 სექტემბერს. ნ. შ. -მ ვერ შეძლო 16 სექტემბერს განხილვის სხდომაზე მონაწილეობა და აცნობა კომისიას, რომ ის თანახმა იყო მისი ზეპირ სხდომაზე მონაწილეობის გარეშე განხილულიყო საქმე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2016 წლის 19 მაისს ადვოკატმა ლ. ჯ. -მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც იგი 2014 წლის 03 იანვარს შეხვდა საჩივრის ავტორ - ნ. შ. -სა და მის მეუღლე ვ. შ. -ს, რომლებმაც აუხსნეს, რომ საჩივრის ავტორს ჩამორთმეული ჰქონდა დედობის უფლება სოციალური სამსახურის მიერ. მათ სურდათ შვილების უკან დაბრუნება და მშობლის უფლებამოსილების სრულად აღდგენა. ადვოკატის განცხადებით, მან ამ დავალების შესასრულებლად საჩივრის ავტორთან დადო ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ. საჩივრის ავტორმა მას გადასცა მომსახურების საფასური 1000 (ათასი) ლარი, რის შემდეგაც მან დაიწყო საქმიანობა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, იგი 2014 წლის 18 იანვარს საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში შეხვდა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს, რომელთა მტკიცებითაც ბავშვებზე სქესობრივ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ჰქონდა ადგილი მათი მამინაცვლის მხრიდან. ადვოკატის განცხადებით, მან იმავე დღეს შეიტანა განცხადება საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში და მოითხოვა ბავშვების ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო. აღნიშნული უარი გაასაჩივრა კახეთის რეგიონალურ საბჭოში, რის შედეგადაც 2014 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, საჩივრის ავტორს უარი ეთქვა ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებაზე და შაბათ-კვირას და დასვენების დღეებში მათ წამოყვანაზე.

2.3 ადვოკატის განცხადებით, მან 2014 წლის 17 მარტს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგარეჯოს სოციალური მომსახურების რაიონულ განყოფილებას, რაზეც პასუხი იყო უარყოფითი, მაგრამ პირადად მას ეს პასუხი არ ჩაუბარებია და არც მოუთხოვია ჩაბარება.

2.4 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორს პრობლემა აქვს ბინასთან დაკავშირებით. მისი 7 წევრიანი ოჯახი ცხოვრობს პატარა ფართობის მქონე, მოუწესრიგებელ და საცხოვრებელ პირობებთან შეუსაბამო სახლში და 2011 წელს სწორედ ამიტომ დათანხმდა საჩივრის ავტორი მინდობით აღზრდას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან აუხსნა თავის კლიენტს, რომ სასამართლოში ამ მტკიცებულებებით დავა იმჟამად უპერსპექტივო იყო, რადგან სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსების შემდეგ სოციალური მომსახურების სააგენტოს მუშაკები, რომლებიც ბავშვებთან გასაუბრებას აწარმოებდნენ, წერდნენ, რომ ბავშვებზე ადგილი ჰქონდა სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, ამიტომ შეთანხმდნენ, რომ როდესაც ბინაზე მოაგვარებდნენ პრობლემას და საჩივრის ავტორის მეუღლე ვ. შ. მოიპოვებდა საკმარის მტკიცებულებებს, მერე გაეგრძელებინათ საქმის წარმოება და შეეტანათ სასამართლოში სარჩელი. ადვოკატის განცხადებით, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მან არ ჩაიბარა საგარეჯოს რაიონული განყოფილების დასკვნა და ამით არ გაუშვა გასაჩივრების ვადა, ეს იყო მისი სტრატეგია და კლიენტიც დაეთანხმა.

2.6 2016 წლის 25 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განაცხადა, რომ მის უფლებამოსილებაში არ შედიოდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოება. ამჟამად საჩივრის ავტორი არ ეკონტაქტება მას. ადვოკატის მითითებით, იგი არ არის წინააღმდეგი, საჩივრის ავტორის მხრიდან შემოთავაზების შემთხვევაში გააგრძელოს მისი საქმის წარმოება, მათ შორის გაფორმებულ მინდობილობას ვადა არ აქვს გასული.

2.7 2016 წლის 16 სექტემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში გაწერილია პირობები და მას ნ. შ. დაეთანხმა ხელმოწერით. ხელშეკრულებაში გაწერილია, თუ რა შემთხვევაში არის შესაძლებელი ადვოკატის მიერ მისთვის თანხის დაბრუნება. თანხის დაბრუნებაზე მსჯელობა სასამართლოს კომპეტენციაა. საადვოკატო მომსახურების ღირებულებას განსაზღვრავს ადვოკატი თავად და ამ საკითხში ეთიკის კომისია ვერ ჩაერევა. ადვოკატის შეფასებით, მან შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ის 2 წლის წინ კლიენტს შეუთანხმდა, რომ საქმე დროებით გადაედოთ, რადგან იმ ეტაპზე სასამართლოში საქმეს წააგებდნენ. შესაბამისად, ადვოკატი დღეს თანახმაა შეთანხმების პირობების შესაბამისად საადვოკატო მომსახურება გაუწიოს მომჩივანს და იმ პირობებში, როცა მას არ შეუწყვეტია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და გასულია 2 წელი, ზედმეტია თანხის ნაწილის კლიენტისათვის დაბრუნებაზე მსჯელობა. ადვოკატი უარს აცხადებს მომჩივანთან მორიგებაზე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2016 წლის 09 ივნისის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის ლ. ჯ. -ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა იმ თანხის ნაწილი, რომელიც მიღებული ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განსახორციელებლად და აღნიშნული უფლებამოსილება სრულად არ

განუხორციელებია, შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე ადვოკატის მიერ მისთვის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილისა და ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის ფარგლებში და მიიჩნია, რომ შესრულებული სამუშაოს ფარგლებში საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნული ნორმების დარღვევა არ დასტურდება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატსა და კლიენტს შორის წერილობითი შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე გაფორმდა 2014 წლის 03 იანვარს, შეთანხმების საგანი: ,,4 ბავშვის დაბრუნება მშობლებისათვის," საქმის არსი: ,,წარმომადგენელი სასამართლოში ბავშვების მეურვეობასთან დაკავშირებით", ხოლო მინდობილობა N გაფორმებულია 2014 წლის 23 იანვარს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის 2016 წლის 19 მაისის ახსნა-განმარტება;

2014 წლის 03 იანვრის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე;

2014 წლის 23 იანვრის N მინდობილობა;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი.

4.1.2 საჩივრის ავტორმა ადვოკატს საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით გადასცა 1000 (ათასი) ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ნ. შ. -ის 2016 წლის 10 მაისის წერილობითი და 25 მაისის ზეპირი პოზიცია; ადვოკატის 2016 წლის 19 მაისის წერილობითი ახსნა-განმარტება, 25 მაისისა და 16 სექტემბრის ზეპირი პოზიცია (ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი);

2014 წლის 03 იანვრის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე;

4.1.3 ადვოკატი საქმეზე ინფორმაციის მისაღებად 2014 წლის 18 იანვარს საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში შეხვდა სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის 2016 წლის 19 მაისის წერილობითი ახსნა-განმარტება, 25 მაისისა და 16 სექტემბრის ზეპირი პოზიცია (ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი);

4.1.4 ადვოკატმა 2014 წლის 08 იანვარსა და 29 იანვარს განცხადება შეიტანა სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში და მოითხოვა ბავშვების ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნება და სოციალური მუშაკის აცილება, რაზეც მიიღო უარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის 2016 წლის 19 მაისის წერილობითი ახსნა-განმარტება, 25 მაისისა და 16 სექტემბრის ზეპირი პოზიცია (ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი);

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების 2014 წლის 24 იანვრის NXX-XX-XX/148 წერილი ადვოკატ ლ. ჯ. -ს;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების 2014 წლის 05 მარტის NXX-XX-XX/480 წერილი ადვოკატ ლ. ჯ. -ს;

4.1.5 ადვოკატმა სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების უარი გაასაჩივრა კახეთის რეგიონალურ საბჭოში, რის შედეგად 2014 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, საჩივრის ავტორს უარი ეთქვა ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებაზე და შაბათ-კვირასა და დასვენების დღეებში მათ წამოყვანაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ნ. შ. -ის 2016 წლის 10 მაისის წერილობითი და 25 მაისის ზეპირი პოზიცია; ადვოკატის 2016 წლის 19 მაისის წერილობითი ახსნა-განმარტება, 25 მაისისა და 16 სექტემბრის ზეპირი პოზიცია (ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი);

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების საოქმო გადაწყვეტილება გამყვან პირად დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ NXX-XX-XX/472.

4.1.6 ადვოკატმა კახეთის რეგიონალური საბჭოს უარი გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით 2014 წლის 17 მარტს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში, რომელიც

შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგარეჯოს სოციალური მომსახურების რაიონულ განყოფილებას, ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის 2016 წლის 19 მაისის წერილობითი ახსნა-განმარტება, 25 მაისისა და 16 სექტემბრის ზეპირი პოზიცია (ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი);

2014 წლის 17 მარტის ადმინისტრაციული საჩივარი;

4.1.7 ადვოკატს არ ჩაუბარებია საგარეჯოს სოციალური მომსახურების რაიონული განყოფილების პასუხი, რადგან არ სურდა გასაჩივრების ვადის გაშვება, ეს წარმოადგენდა მის სტრატეგიას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის 2016 წლის 19 მაისის წერილობითი ახსნა-განმარტება, 25 მაისისა და 16 სექტემბრის ზეპირი პოზიცია (ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი);

4.1.8 ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ, რომ საქმის წარმოება დროებით უნდა შეჩერებულიყო და ადვოკატი სასამართლოს მიმართავდა მაშინ, როდესაც მათ საქმის წარმატებით დასრულების შესაძლებლობა ექნებოდათ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის 2016 წლის 19 მაისის წერილობითი ახსნა-განმარტება, 25 მაისისა და 16 სექტემბრის ზეპირი პოზიცია (ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი);

4.1.9 საჩივრის ავტორმა ადვოკატს 2016 წელს ცალმხრივად შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ნ. შ. -ის 2016 წლის 10 მაისის წერილობითი და 25 მაისის ზეპირი პოზიცია; ადვოკატის 2016 წლის 19 მაისის წერილობითი ახსნა-განმარტება, 25 მაისისა და 16 სექტემბრის ზეპირი პოზიცია (ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი);

4.1.10 ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატმა საჩივრის ავტორს არ დაუბრუნა თანხა ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ნ. შ. -ის 2016 წლის 10 მაისის წერილობითი და 25 მაისის ზეპირი პოზიცია; ადვოკატის 2016 წლის 19 მაისის წერილობითი ახსნა-განმარტება, 25 მაისისა და 16 სექტემბრის ზეპირი პოზიცია (ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 16 სექტემბრის სხდომის ოქმი);

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ჯ. -ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ლ. ჯ. -მ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი, რომლის თანახმად *,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“*

6.2 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

6.3 საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე დაიდო წერილობითი ფორმით 2014 წლის 03 იანვარს. შეთანხმების საგანს წარმოადგენდა ,,4 ბავშვის დაბრუნება მშობლებისათვის“, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით საქმის არსში მითითებულია - ,,წარმომადგენლობა სასამართლოში ბავშვების მეურვეობასთან დაკავშირებით“. საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა კლიენტის საქმეზე განახორციელა შემდეგი იურიდიული მოქმედებები: ის საქმეზე ინფორმაციის მისაღებად 2014 წლის 18 იანვარს საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში შეხვდა სოციალური მომსახურების

სააგენტოს წარმომადგენლებს. შემდეგ განცხადება შეიტანა საგარეჯოს რაიონულ განყოფილებაში და მოითხოვა ბავშვების ბიოლოგიურ დედასთან დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო. აღნიშნული უარი გაასაჩივრა კახეთის რეგიონალურ საბჭოში, რის შედეგადაც 2014 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, საჩივრის ავტორს უარი ეთქვა ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებაზე და შაბათ-კვირას და დასვენების დღეებში მათ წამოყვანაზე. ადვოკატმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით 2014 წლის 17 მარტს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგარეჯოს სოციალური მომსახურების რაიონულ განყოფილებას. 2014 წლის 17 მარტის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ადვოკატმა ეს პასუხი არ ჩაიბარა, რადგან არ სურდა გასაჩივრების ვადის გაშვება. ამასთან, იმ მომენტისათვის სასამართლოსათვის მიმართვა სასურველ შედეგს ვერ მისცემდათ და მხარეები შეთანხმდნენ, რომ სასამართლოს მიმართავდნენ მოგვიანებით, როდესაც სარჩელის შეტანა პერსპექტიული იქნებოდა.

6.4 კოლეგიის განმარტებით, კლიენტს ადვოკატ ლ. ჯ. -სთან გაუჩნდა პრეტენზია და ეთიკის კომისიას მომართა საჩივრით, მან ადვოკატს ცალმხრივად შეუწყვიტა მომსახურების ხელშეკრულება, რადგან მისთვის სასურველი შედეგი არ დადგა. მიუხედავად სურვილისა, კლიენტის წარმომადგენლობის გაგრძელება ადვოკატმა ვერ შეძლო კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე.

6.5 კლიენტი ნ. შ. და ადვოკატი ლ. ჯ. სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა მიიღო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარი 1000 (ათასი) ლარი და ადვოკატის მიერ გასაწევი საადვოკატო მომსახურება მოიცავდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობასაც. ადვოკატს კლიენტის საქმეზე შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაო ბოლომდე არ შეუსრულებია - მან არ მიმართა სასამართლოს. კოლეგიის შეფასებით, მართალია, საქმის წარმოების გადადებაზე მხარეები 2014 წელს შეთანხმდნენ და ეს წარმოადგენდა ადვოკატის სტრატეგიას, მაგრამ რადგან კლიენტმა ადვოკატ ლ. ჯ. -ს 2016 წელს ცალმხრივად შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და ადვოკატმა, მიუხედავად სურვილისა, ნ. შ.-ის საქმის წარმოება ვერ გააგრძელა, მას უნდა გამოექვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისათვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მის მიერ მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი უნდა დაებრუნებინა კლიენტისათვის, ვინაიდან მან კლიენტის ნების შესაბამისად ვეღარ შეძლო შეთანხმების ფარგლებში მისი წარმომადგენლობა, რაც კოლეგიის შეფასებით ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს.

6.6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.7 განხილვის კოლეგიამ ადვოკატისათვის სახდელის - გაფრთხილების დაკისრებისას იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან

დაკავშირებით და გარემოება, რომ ადვოკატმა ლ. ჯ. -მ როგორც ეთიკის კომისიის საპროცესო, ისე განხილვის კოლეგიის სხდომაზე, მას შემდეგ რაც ადვოკატს ჩაბარდა აღძვრის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევაზე მითითებით, ადვოკატმა ვერ გააცნობიერა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი, უარი განაცხადა საჩივრის ავტორთან მორიგებაზე და მისთვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ლ. ჯ. -ის მიმართ /სიითი № / დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ლ. ჯ. -ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/